1980
24
თებერვალი
საბჭოების
არჩევნების
დღეა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 13
(6574)
19
1980 წ.
იანვარი
შაბათი
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# დ ი ა ც ე რ ი ლ ი

## მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიებს

ძვირფასო ამხანაგებო! ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრებმა, საწარმოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, დაწესებულებების შრომითი კოლექტივებისაგან, სასწავლებლებისა და ჯარის ნაწილებისაგან, აგრეთვე საოლქო წინასაარჩევნო თათბირებისაგან მივიღეთ წერილები და დეპეშები, რომლებშიც ისინი გვაცნობებენ, რომ დაგვასახელეს მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატებად მთელ რიგ საარჩევნო ოლქებში და გვთხოვენ დავთანხმდეთ კენჭი ვიყაროთ ამ ოლქებში.

ღრმა, გულწრფელ მადლობას ვუთვლით მუშებს, კოლმეურნეებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს, მოსამსახურეებს, არმიისა და ფლოტის მეომრებს, ყველა ამომრჩეველს, რომელბმაც მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატებად დაგვასახელეს.

ამ დიდ პატივსა და გაწეულ ნდობას მთლიანად მივაკუთვნებთ ჩვენს კომუნისტურ პარტიას. ეს ნდობა მიგვაჩნია იმის დადასტურებად, რომ ურღვევია საბჭოთა საზოგადოების ერთიანობა, რომ საბჭოთა ადამიანები შეკავშირებული არიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გარშემო, ერთსულოვნად უჭერენ მხარს მთელ მის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, რომ ჩვენი სამშობლოს მშრომელებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი მეათე ხუთწლედის დამამთავრებელი წელი, როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის ნოემბრის პლენუმმა განსაზღვრა, დამკვრელური ლენინური მუშაობის წლად გადააქციონ, ახალი შრომითი გამარჯვებებით აღნიშნონ ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავი, წარმატებით შეასრულონ 1980 წლისა და მთლიანად ხუთწლედის დავალებები.

რამდენადაც თითოეულ ჩვენგანს შეუძლია კენჭი იყაროს მხოლოდ ერთ საარჩევნო ოლქში, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა გვირჩია დავთანხმდეთ კენჭი ვიყაროთ შემდეგ საარჩევნო ოლქებში:

**ლ. ი. ბრეჟნევი** — ბაუმანის საარჩევნო ოლქი, ქ. მოსკოვი, რუსეთის სფსრ.

**ი. ვ. ანდროპოვი** — ოკისპირა საარჩევნო ოლქი, ქ. გორკი, რუსეთის სფსრ.

**ვ. ვ. გრიშინი** — ვეშნიაკოვსკის საარჩევნო ოლქი, ქ. მოსკოვი, რუსეთის სფსრ.

**ა. ა. გრომიკო** — კალინინგრადის საარჩევნო ოლქი, მოსკოვის ოლქი, რუსეთის სფსრ.

**ა. პ. კირილენკო** — პოლიტექნიკური საარჩევნო ოლქი, ქ. ლენინგრადი, რუსეთის სფსრ.

**ა. ნ. კოსიგინი** — ფრუნზეს საარჩევნო ოლქი, ქ. მოსკოვი, რუსეთის სფსრ.

**დ. ა. კუნაევი** — ბაკანასკის საარჩევნო ოლქი, ალმა-ათის ოლქი, ყაზახეთის სსრ.

**ა. ი. პელშე** — კრასნოოქტიაბრსკის საარჩევნო ოლქი, ქ. ვოლგოგრადი, რუსეთის სფსრ.

**გ. ვ. რომანოვი** — სმოლნის საარჩევნო ოლქი, ქ. ლენინგრადი, რუსეთის სფსრ.

**მ. ა. სუსლოვი** — ავტოქარხნის საარჩევნო ოლქი, კუიბიშევის ოლქი, რუსეთის სფსრ.

**ნ. ა. ტიხონოვი** — ობუხოვის საარჩევნო ოლქი, ქ. ლენინგრადი, რუსეთის სფსრ.

**დ. თ. უსტინოვი** — კოვროვის საარჩევნო ოლქი, ვლადიმირის ოლქი, რუსეთის სფსრ.

**კ. უ. ჩერნენკო** — კუიბიშევის საარჩევნო ოლქი, — ქ. მოსკოვი, რუსეთის სფსრ.

**ვ. ვ. შჩერბიცკი** — ბაგლეისკის საარჩევნო ოლქი, დნეპროპეტროვსკის ოლქი, უკრაინის სსრ.

**გ. ა. ალიევი** — რაზინის საარჩევნო ოლქი, ქ. ბაქო, აზერბაიჯანის სსრ.

**მ. ს. გორბაჩოვი** — ცენტრალური საარჩევნო ოლქი, ალტაის მხარე, რუსეთის სფსრ.

**პ. ნ. დემიჩევი** — კიროვის საარჩევნო ოლქი, ქ. იაროსლავლი, რუსეთის სფსრ.

**ვ. ვ. კუზნეცოვი** — ელექტროსტალის საარჩევნო ოლქი, მოსკოვის ოლქი, რუსეთის სფსრ.

**პ. მ. მაშეროვი** — ლენინის საარჩევნო ოლქი, ქ. მინსკი, ბელორუსიის სსრ.

**ბ. ნ. პონომარიოვი** — საქარხნო საარჩევნო ოლქი, ქ. სარატოვი, რუსეთის სფსრ.

**შ. რ. რაშიდოვი** — პახტააბადის საარჩევნო ოლქი, ანდიჟანის ოლქი, უზბეკეთის სსრ.

**მ. ს. სოლომენცევი** — მიასის საარჩევნო ოლქი, ჩელიაბინსკის ოლქი, რუსეთის სფსრ.

**ე. ა. შევარდნაძე** — რუხის საარჩევნო ოლქი, საქართველოს სსრ.

**ი. ვ. კაპიტონოვი** — პოდოლსკის საქალაქო საარჩევნო ოლქი, მოსკოვის ოლქი, რუსეთის სფსრ.

**ვ. ი. დოლგიხი** — ნოვოლიპეცკის საარჩევნო ოლქი, ქ. ლიპეცკი, რუსეთის სფსრ.

**მ. ვ. ზიმიანინი** — რკინიგზის საარჩევნო ოლქი, ქ. ვორონეჟი, რუსეთის სფსრ.

**კ. ვ. რუსაკოვი** — პროლეტარსკის საარჩევნო ოლქი, ქ. დონის როსტოვი, რუსეთის სფსრ.

ვთხოვთ მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების არჩევნების შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიებს, ეს წერილი დოკუმენტად მიიჩნიონ დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაციის დროს.

ლ. ი. ბრეჟნევი
ი. ვ. ანდროპოვი
ვ. ვ. გრიშინი
ა. ა. გრომიკო
ა. პ. კირილენკო
ა. ნ. კოსიგინი
დ. ა. კუნაევი
ა. ი. პელშე
გ. ვ. რომანოვი
მ. ა. სუსლოვი
ნ. ა. ტიხონოვი
დ. თ. უსტინოვი
კ. უ. ჩერნენკო
ვ. ვ. შჩერბიცკი
გ. ა. ალიევი
მ. ს. გორბაჩოვი
პ. ნ. დემიჩევი
ვ. ვ. კუზნეცოვი
პ. მ. მაშეროვი
ბ. ნ. პონომარიოვი
შ. რ. რაშიდოვი
მ. ს. სოლომენცევი
ე. ა. შევარდნაძე
ი. ვ. კაპიტონოვი
ვ. ი. დოლგიხი
მ. ვ. ზიმიანინი
ვ. ვ. რუსაკოვი

## შეხვედრა სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

**16-17 იანვარს** სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის, ვიეტნამის კომუნისტური პარტიის, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის, კუბის კომუნისტური პარტიის, მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის, რუმინეთის კომუნისტური პარტიის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის წარმომადგენელთა სამუშაო შეხვედრა.

შეხვედრის მონაწილეებმა აზრი გაუზიარეს ერთმანეთს XXII ოლიმპიადის ასპარეზობისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ, განიხილეს საინფორმაციო მუშაობის საკითხები, ეწვივნენ მოსკოვის მთელ რიგ ოლიმპიურ ობიექტებს.

● დეპეშა ნომერში

## „ლ ე ლ ო ს“ რედაქციას!

**ლესელიძის** პანსიონატ „სპორტის“ ბაზის კაპიტალური შეკეთების სამუშაოები დამთავრებულია. ბაზა მზად არის საბჭოთა კავშირის ოლიმპიური ნაკრები გუნდების მიღებისათვის.

**საქართველოს სპორტკომიტეტის „საქსპორტრემმშენის“ № 3 სამმართველოს უფროსი ნ. ჯოგაავა.**

## თამილა მესხი — სსრ კავშირის ჩემპიონი



**ღუშანბეში** (ტაჯიკეთი) დამთავრდა სსრ კავშირის მოჭადრაკე გოგონათა ჩემპიონატი. შეჯიბრების ფინიშზე შესანიშნავად თამაშობდა ქუთაისელი მოსწავლე **თამილა მესხი** („განთიადი“), რომელმაც 7 ქულით 9-დან I ადგილი და სსრ კავშირის ჩემპიონის სახელი მოიპოვა.

ქუთაისის მე-15 საშუალო სკოლის მოსწავლე, 16 წლის თამილა მესხი შარშანაც გოგონათა შორის სსრ კავშირის ჩემპიონი იყო. იმავე წელს მან ქალთა შორის საქართველოს ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა. ნიჭიერი გოგონას მწვრთნელია ქუთაისელი ოსტატობის კანდიდატი თ. ხარლამიდი.

ღუშანბეში მოპოვებული წარმატებით თამილამ სსრ კავშირის ქალთა მე-40 ჩემპიონატის I ლიგაში მონაწილეობის უფლებაც მოიპოვა.

II-VI ადგილები გაიყო ც. ქასოშვილმა (გორი) — 6 ქულა. მისი მწვრთნელია გორელი ოსტატობის კანდიდატი შ. თოთლაძე.

ი. აბზიანიძემ (ქუთაისი) 4 ქულა მოაგროვა, ნ. მუსერიძემ (თბილისი) — 3,5.



**თბილისის** „განთიადის“ მძლეოსნობის სასახლეში დასრულდა რესპუბლიკის სპორტსკოლების პირველობა მძლეოსნობაში.

• • •

**სურათებზე:** ბირთვის მკვრელი გოგონები კვარცხლბეკზე; სიმაღლეზე ხტება ო ვერშინინა.

ჯ. ლომაძის ფოტოები.

(ანგარიში იხ. მე-2 გვ.).



● ჭადრაკი

## ევროპის გუნდური პირველობა

**დღეს,** 19 იანვარს შვეიცაის ქალაქ სკარაში სტარტს აიღებს მოჭადრაკეთა ევროპის გუნდური პირველობის ფინალი. გუშინ იქ საასპარეზოდ ჩავიდა სსრ კავშირის ნაკრები შემდეგი შემადგენლობით: მსოფლიოს ჩემპიონი ა. კარპოვი, მსოფლიოს ექს-ჩემპიონები ტ. პეტროსიანი, მ. ტალი, დიდოსტატები, სსრ კავშირის ჩემპიონი ე. გელერი, ლ. პოლუგაევსკი, ბ. ბალაშოვი, ო. რომანიშინი, რ. ვაჰანიანი და სათადარიგო მოთამაშეები საერთაშორისო ოსტატები ა. იუსუპოვი და გ. კასპაროვი.

პირველობაში მონაწილეობას მიიღებენ იუგოსლავიის, უნგრეთის, ბულგარეთის, ჩეხოსლოვაკიის, ინგლისის, შვეციისა და ისრაელის გუნდები.

შეჯიბრების მთავარი ფავორიტები საბჭოთა მოჭადრაკეები აქამდე უცვლელი ჩემპიონები არიან. მათ ღირსეულ მეტოქეებად ასახელებენ უნგრეთისა და იუგოსლავიის კოლექტივებს.

ევროპის პირველობა 27 იანვრამდე გასტანს.

### ლიდერობენ

**კოსტრომა,** 18 იანვარი (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). აქ დაიწყო „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს პირველობა მოჭადრაკე ვაჟთა გუნდებს შორის. საქართველოს დინამოელთა კოლექტივის ღირსებას იცავენ დიდოსტატი ე. გუფელდი, ოსტატი დ. გედევანიშვილი და ოსტატობის კანდიდატი ა. ხუციშვილი.

4 ტურის შემდეგ დაწინაურდნენ საქართველოს წარგზავნილები — 9 ქულა 12-დან. მათ კვალში მიჰყვებიან მოსკოვის (8), უკრაინისა და ლიტვის (7-7) გუნდები.

პირად ჩათვლაში ლიდერობს ოსტატი დ. გედევანიშვილი — 3,5 ქულა 4-დან.

**გ. ფამილიანტი,**
**პირველობის მთავარი მსაჯი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი.**

# საქართველოს სპორტკომიტეტში

ეს-ესაა დაიწყო ახალი, 1980 წელი და უკვე მრავალი სასიხარულო ცნობა მოვიდა ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენთა წარმატებებისა. ოლიმპიური წლის პირველ გამარჯვებულთა შორის არიან საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატები, სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადის ჩემპიონი 10-მეტრიანი კოშკიდან ხტომაში ლიანა ცოტაძე და 1979 წლის სსრ კავშირის თასის მფლობელი სერგო შალიბაშვილი (ორივე — „განთიადი“).

როგორც ცნობილია, ლას-პალმასში (ესპანეთი) ახლახან გამართულ დიდ საერთაშორისო ტურნირზე მათ დაამარცხეს მსოფლიოს უძლიერესი წყალში მხტომელები და გამარჯვებულნი დაუბრუნდნენ მშობლიურ ქალაქს. აღსაზრდელთა წარმატებაში დიდია საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის იური გუტიაკულოვის წვლილი...

ჰოლანდიის ქალაქ გრონინგენში, ჭაბუკთა შორის ევროპის პირველობაზე მშვენივრად იასპარეზა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა ზურაბ აზმაიფარაშვილმა, რომელმაც II ადგილი დაიკავა.

სწორედ ამ სპორტსმენთა პირველ წარმატებებზე, მომავალ მათ ასპარეზობებზე იყო ლაპარაკი გუშინწინ საქართველოს სპორტკომიტეტში გამართულ შეხვედრაზე, რომლის დასასრულს სპორტსმენებს გადაეცათ საქართველოს სპორტკომიტეტის სიგელები და პრიზები, ხოლო მწვრთნელ ი. გუტიაკულოვს გამოეცხადა მადლობა.



# თბილისელთა საახალწლო საჩუქარი

**ლას-პალმასის წყალში მხტომელთა საერთაშორისო ტურნირიდან, როგორც ცნობილია, გამარჯვებით დაგვიბრუნდნენ თბილისელი სპორტსმენები, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატები ლ. ცოტაძე და ს. შალიბაშვილი (ორივე — „განთიადი“). ამასთან დაკავშირებით ჩვენმა კორესპონდენტმა ინტერვიუ ჩამოართვა მათ მწვრთნელს საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს ი. გუტიაკულოვს, რომელიც კანარის კუნძულებზე თან ახლდა თავის აღსაზრდელებს.**

□

**● ესპანეთიდან ამ შეჯიბრების შესახებ ერთობ ძუნწი ცნობები მივიღეთ, რომლებმაც მხოლოდ გამარჯვებულები გაგვაცნო. ჩვენი მკითხველისთვის უთუოდ საინტერესოა დაწვრილებითი ამბები ამ ტურნირის ირგვლივ.**

— ეს შეჯიბრება საახალწლო ტურნირია, რომელიც ტრადიციულად იმართება. მასში მხოლოდ კაპიტალისტური ქვეყნების წარმომადგენლებს იწვევენ. გამონაკლისს უშვებენ მხოლოდ საბჭოთა წყალში მხტომელების მიმართ, რომლებიც ერთ-ერთი საუკეთესონი არიან მსოფლიოში. ამასთან, ისიც უნდა ითქვას, რომ ამ შეჯიბრებაში მონაწილე ჩვენი ქვეყნის ნაკრების შემადგენლობა ყოველთვის იცვლება — ერთი და იგივე სპორტსმენს ჯერ მონაწილეობა არ მიუღია. [illegible] საჯაროდ ჩვენი ქვეყნიდან ცოტაძისა და შალიბაშვილის გარდა კიეველი ჟანა ცირიულნიკოვა და გალინა პიჟანოვა ჩაებნენ ბრძოლაში. საბჭოთა კავშირისა და მასპინძელთა გუნდების გარდა ასპარეზობაში მონაწილეობდნენ: ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის, ნორვეგიის, ჰოლანდიის, შვეციის, [illegible], შვეიცარიისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდები. აღსანიშნავია, რომ ტურნირი ღია აუზში გაიმართა. ასპარეზობის დღეებში, საახალწლოდ... 28 გრადუსი სიცხე იდგა.

**● ჩვენთვის ცნობილია, რომ ცოტაძემ და შალიბაშვილმა 10-მეტრიანი, ხოლო ჟანა ცირიულნიკოვამ 3-მეტრიან ტრამპლინიდან ხტომაში გაიმარჯვეს. ლიანამ და სერგომ ალბათ 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაშიც სცადეს ძალა. ამასთან, თითქმის არაფერი ვიცით თუ ვინ იყვნენ მათი მთავარი მეტოქეები.**

— ლიანამ 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაშიც მიიღო მონაწილეობა და III ადგილი დაიკავა. ორივე სახეობის ჯამში კი გამარჯვებული გამოვიდა და „გრან-პრიც“ დაიმსახურა. აღსანიშნავია, რომ 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში მსოფლიო თასის მფლობელი, ინგლისელი სნოუბი ტურნირში არ მონაწილეობდა. ვაჟთა შორის „გრან-პრი“ დასავლეთგერმანელმა დერმა მოიპოვა. იგი III იყო ტრამპლინიდან, ხოლო II—კოშკიდან ხტომაში. ამ უკანასკნელ სახეობაში იგი 2 ქულით ჩამორჩა შალიბაშვილს. უნდა დავუმატო, რომ გერმანელი სპორტსმენი მსოფლიო პირველობის ფინალისტია. ამ ტურნირში მონაწილეობდა, აგრეთვე შალიბაშვილის ძველი მეტოქე, იტალიელი პიერო იტალიანი. ისინი შარშანწინ შეხვდნენ ერთმანეთს ფლორენციაში გამართულ ჭაბუკთა ევროპის ჩემპიონატზე, სადაც იტალიანიმ გაიმარჯვა, ხოლო შალიბაშვილი II იყო. ახლა კი იტალიელმა სპორტსმენმა მხოლოდ IV ადგილი დაიკავა. სამწუხაროდ, უფერულად გამოვიდა პიჟანოვა, რომელიც 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში XII იყო.

**● საინტერესოა საბჭოთა სპორტსმენების წლევანდელი და შარშანდელი მიღწევების შედარებაც.**

— საბჭოთა სპორტსმენებმა, როგორც წლეულს, შარშანაც სამი I და ერთიც III ადგილი მოიპოვეს.

**● ლას-პალმასის ტურნირიდან ქართველმა სპორტსმენებმა კარგი საახალწლო „საჩუქრები“ ჩამოიტანეს. ეს, ალბათ, გარკვეულ გავლენას მოახდენს ოლიმპიური ნაკრები გუნდის დაკომპლექტებაზე.**

— რა თქმა უნდა, დიდ საერთაშორისო ტურნირში გამარჯვება ანგარიშგასაწევია და საამაყო, მაგრამ საბჭოთა ნაკრები გუნდის წევრთა ერთგვარ პირველ შესარჩევ შეჯიბრებად მაინც გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის“ პრიზზე გამართული ასპარეზობაა ნაგულისხმევი. იგი სარატოვში ერთი თვის შემდეგ გაიმართება. მეორე ყველაზე დიდი ასპარეზობა მინსკის საერთაშორისო ტურნირი—„გაზაფხულის მერცხლები“ იქნება...

**საუბარი ჩაიწერა ა. გურასაშვილმა.**

* * *

**ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: ი. გუტიაკულოვი (ზემოთ); ლ. ცოტაძე და ს. შალიბაშვილი.**

ავტორის ფოტოები.





# ოლიმპიურ თამაშებს მიეძღვნა

გაიმართა ვანის რაიონის მოსწავლეთა სპარტაკიადა, რომელიც მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებს მიეძღვნა. პროგრამაში იყო ფრენბურთი, ჭადრაკი და შაში. სარბიელზე 200-ზე მეტი მოსწავლე გამოვიდა.

ფრენბურთში, როგორც გოგონებში, ისე ვაჟებში, აგრეთვე ჭადრაკში, პირველობა არავის დაუთმეს ვანის კიროვის სახელობის საშუალო სკოლის (დირექტორი დ. კორძაძე, ფიზკულტურის მასწავლებელი ო. ნიკოლეიშვილი) მოსწავლეებმა. შაშში პირველი იყო ისრითის საშუალო სკოლის (ნ. ცხადაძე, ნ. მაღლაკელიძე) გუნდი.

**მ. აბრამიძე,**

**ვანის რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე, სპორტის ოსტატი.**

● შაში

## დაფებთან — მოსწავლეები

**ცხინვალში,** მოსწავლეთა საქალაქო შეჯიბრებაში — „საოცარი შაში“ მონაწილეობდა 10 გუნდი. თითოეულში 3 ბიჭი და 1 გოგონა გამოდიოდა. საინტერესო პაექრობის შემდეგ I ადგილი დაიკავა მე-7 საშუალო სკოლის გუნდმა, II ადგილი წილად ხვდა მე-8 სკოლის კოლექტივს, III — მე-4 საშუალო სკოლის ნორჩ მოშაშეებს.

**ვ. მელქოევი.**

(„ლელოს“ კორ.).

● მძლეოსნობა

# სტარტზე — მოზარდები

**საქართველოს** მძლეოსნობის რეზერვის — 16-19 წლის მოზარდთა ზამთრის პირად-გუნდურმა რესპუბლიკურმა ტურნირმა 1 ოსტატობის კანდიდატისა და 18 პირველი თანრიგის შედეგი მოგვცა. ეს ცუდი როდია, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ თბილისის „განთიადის“ მძლეოსნობის სასახლეში ყველა სპორტული სკოლა ცდიდა ძალას, მეტის მოთხოვნის უფლება გვაქვს.

თვითონ განსაჯეთ: სპორტსაზოგადოებების („სპარტაკს“ გუნდი არ ჰყავდა), საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, რესპუბლიკის პროფსაბჭოს, თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს, სოხუმის, ბათუმის, ქუთაისის, ცხინვალის, რუსთავის მძლეოსნობის სკოლების გუნდების ორდღიანი ბრძოლა მხოლოდ 19 საშუალო შედეგით აღინიშნა და ისიც სულ 14 ახალგაზრდის წილად მოდის. მართალია, ზოგიერთს ამ სასურველ ზღვარამდე მცირე დააკლდა, მაგრამ ტურნირში მონაწილეობდა ისეთი ასაკის სპორტსმენთა საკმაოდ დიდი რაზმი, რომელიც უკვე სპორტის ოსტატობის ნორმას უნდა წვდებოდეს.

ყველაზე მეტად თავი გამოიჩინა ბ. გოცირიძემ („შრომითი რეზერვები“). მან 200 მეტრზე რბენაში სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივს გადააჭარბა, 60 მეტრზე რბენაში კი 0,2 წამით ჩამოიტოვა II პრიზიორი, დინამოელი ვ. სელიხოვი.

18-19 წლის ათლეტები სპორტსაზოგადოებების გუნდების ინტერესებს იცავდნენ, 16-17 წლისანები — სპორტული სკოლებისას. ეს უკანასკნელნი სიძლიერის მიხედვით 2 ჯგუფად გაიყვნენ. I ჯგუფში განათლების სამინისტროს, პროფსაბჭოსა და თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს სპეციალიზებული სპორტული სკოლების აღსაზრდელები გამოდიოდნენ, მეორეში — სხვა ქალაქებისა და თბილისის სპორტული სკოლა-ინტერნატის კოლექტივები.

გუნდური პირველობისთვის ბრძოლამ მოლოდინი ვერ გაამართლა: სპორტსაზოგადოებათა კოლექტივებს შორის „ბურევესტნიკმა“ უახლოესი მეტოქე „დინამო“ ათასზე მეტი ქულით ჩამოიტოვა; სპორტსკოლების I ჯგუფში პროფსაბჭოს მძლეოსნობის სპეციალიზებული სკოლის ნაკრებმა თითქმის 2500 ქულით აჯობა განათლების სამინისტროს სკოლის სპორტსმენებს, ხოლო მეორე ჯგუფში ინტერნატელებმა 988 ქულით გაასწრეს [illegible] უახლოეს მეტოქეს — ცხუმის მძლეოსნებს.

შეჯიბრებაში დაბალი იყო ცხინვალელი და რუსთაველი მოსწავლეების საერთო ნადავლი. პირველმა 1786 ქულა მოაგროვა, ხოლო რუსთავის გუნდი 1781 ქულით ბოლო ადგილს დასჯერდა.

წლევანდელი შედეგები სჯობს შარშანდელს, მაგრამ მაჩვენებლების ზრდის მრუდი მაღლა ძალიან ნელა მიიწევს. ამასთან, ამ ტურნირზე ზოგიერთმა სპორტსმენმა პოზიციებიც დათმო: მაგალითად, 800 მეტრზე რბენაში ქალთა შორის რესპუბლიკის რეკორდსმენს ლ. წინწალაშვილს („კოლმეურნე“), ამ შეჯიბრებაში უფრო პატარა ახალციხელმა გოგონამ ნ. ჭალიაშვილმა (განათლების სამინისტროს სკოლა) აჯობა. სპორტსკოლა-ინტერნატის მოსწავლემ მ. აზარაშვილმა კი 60 და 200 მეტრზე რბენაში ორჯერ დაამარცხა მასზე უფროსი ო. ვიქტოროვა („შრომითი რეზერვები“). გოგონათა შორის სიმაღლეზე ხტომაში უფროსებში გამარჯვებულ ო. ვერშინინას („ლოკომოტივი“) ტოლი არ დაუდო მასზე ბევრად უმცროსმა ი. ჩოგოვაძემ. თუმცა ვერშინინამ თანატოლთა შორის სამ სახეობაში სცადა ძალა და სამივეჯერ პირველი თანრიგის შედეგით იმარჯვა.

* * *

ქვემოთ მოყვანილ გამარჯვებულთა **ტექნიკურ შედეგებში** პირველად დასახელებულია სპორტსმენები, რომლებმაც მაღალი თანრიგის შედეგებს მიაღწიეს. შემდეგ ისინი, ვინც მეორე თანრიგით მოიპოვა უძლიერესის სახელი, ბოლოს მძლეოსნები, რომლებმაც მესამე თანრიგის შედეგით დაისაკუთრეს გამარჯვება.

**1963-64 წლებში დაბადებულნი: გოგონები. რბენა. 60 და 200 მ.** მ. აზარაშვილი (ინტერნატი) — (7,6 და 25,8; **800 მ.** ნ. ჭალიაშვილი (განათლების სამინისტროს სკოლა) — 2.17,1. **სიმაღლეზე ხტომა.** ი. ჩოგოვაძე (პროფსაბჭოს სკოლა) — 170; **ბიჭები. რბენა. 200 მ.** ვ. ლისაკოვი (პროფსაბჭოს სკოლა) — 23,5;

**1961-62 წლებში დაბადებულნი. გოგონები. რბენა. 60 და 200 მ.** ო. ვიქტოროვა („შრომითი რეზერვები“) — 7,8 და 26,5; **800 მ.** ლ. წინწალაშვილი („კოლმეურნე“) — 2.17,2; **60 მ. თარჯრბენი.** ო. ვერშინინა („ლოკომოტივი“) — 9,0, ლ. შალიგინა („განთიადი“) — 9,1; **სიგრძეზე ხტომა.** ვერშინინა — 564; **სიმაღლეზე ხტომა.** ვერშინინა — 170; **ჭაბუკები. რბენა. 60 და 200 მ.** ბ. გოცირიძე („შრომითი რეზერვები“) — 6,8 და 22,7; **60 მ. თარჯრბენი.** დ. კალაძე („განთიადი“) — 8,2; **სიგრძეზე ხტომა.** გ. ჩადუნელი („დინამო“) — 694; **სიმაღლეზე ხტომა.** დ. კუკანოვი („სპარტაკი“, პირადი) — 195; **სამხტომი.** ა. ნერსესიანი („დინამო“) — 15,38; **ბირთვის კვრა.** გ. მიქაძე („ბურევესტნიკი“) — 15,77.

**1963-64 წლებში დაბადებულნი. გოგონები. 400 მ.** ზ. გუჩმაზოვა — 59,3; **1500 მ.** ნ. ლუკიანოვა (ორივე — განათლების სამინისტროს სკოლა) — 4.58,0; **სიგრძეზე ხტომა.** ე. ნოზაძე (პროფსაბჭოს სკოლა) — 524; **ბირთვის კვრა.** მ. ხურცია (ინტერნატი) — 12,12; **ბიჭები. რბენა. 60 მ.** მ. მაისურაძე (პროფსაბჭოს სკოლა) — 7,2; **1500 მ.** ი. სტრიჟაკოვი (განათლების სამმართველო) — 4.06,2; **60 მ. თარჯრბენი.** ს. დოლბაროვი (განათლების სამინისტროს სკოლა) — 8,3; **110 მ. თარჯრბენი.** გ. ცინდელიანი — 15,3; **სიგრძეზე ხტომა.** ა. კოპალეიშვილი (ორივე — პროფსაბჭოს სკოლა) — 657; **სიმაღლეზე ხტომა.** შ. ათანელი (განათლების სამინისტროს სკოლა) — 190; **ბირთვის კვრა.** ა. ქორიძე (განათლების სამინისტროს სკოლა-ინტერნატი) — 14.60;

**1961-62 წლებში დაბადებულნი. ბიჭები. რბენა. 400 და 800 მ.** ო. არტემიევი („შრომითი რეზერვები“) — 52,4 და 2.02,6; [illegible] ა. სოლოვიო[illegible] („ბურევესტნიკი“) — 4.02,8; **110 მ. თარჯრბენი.** თ. ყიფიანი („დინამო“) — 15,9; **ჭოკით ხტომა.** ა. ლევჩენკო („ლოკომოტივი“) — 4 მ.

**1963-64 წლებში დაბადებულნი. გოგონები. 60 მ. თარჯრბენი.** ს. აბრამოვა (ბათუმი) — 10,0; **100 მ. თარჯრბენი.** ლ. ბოლქვაძე (სოხუმი) — 16,5; **ბირთვის კვრა.** მ. ქევანიშვილი („ლოკომოტივი“) — 11,16; **ბიჭები. რბენა. 400 მ.** ი. სერედა — 53,8; **800 მ.** ნ. ლამბრიანიდი (ორივე — პროფსაბჭოს სკოლა) — 2.04,5; **სამხტომი.** მ. მაჭავარიანი (ქუთაისი) — 13,48 მ; **ჭოკით ხტომა.** ზ. ოდიშვილი (თბილისის სახალხო განათლების სამმართველო) — 340.

**1961-62 წლებში დაბადებულნი. გოგონები. 100 მ. თარჯრბენი.** ი. ფატიადი („დინამო“) — 16,5; **ჭაბუკები. 3000 მ. რბენა.** ნ. ბობოკოვი (რუსთავი)—10,11,2.

**გუნდური:** „ბურევესტნიკი“ — — 6672 ქულა, „დინამო“ — 5608, „განთიადი“ — 5300, „კოლმეურნე“ — 4622, „შრომითი რეზერვები“ — 3822, „ლოკომოტივი“ — 3051;

პროფსაბჭოს სპორტსკოლა — 14606 ქულა, განათლების სამინისტროს სპორტსკოლა — 12142, თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს სპორტსკოლა — 7792;

სპორტსკოლა ინტერნატი — 5354 ქულა, სოხუმი — 4556, ქუთაისი — 4035, ბათუმი — 3782, ცხინვალი — 1786, რუსთავი — 1781.

**ლ. გელაშვილი,**

**ქ. ჯიმშელაძე.**

ფეხბურთი ●

# მთავარი მიზანი — ოლიმპიური ტურნირი

ამას წინათ მოსკოვში, ჟურნალისტის ცენტრალურ სახლში, სპორტული პრესის წარმომადგენლებმა შეხვედრა მოუწყვეს სსრ კავშირის სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს უფროსს ვ. კოლოსკოვს, რომელმაც განაცხადა:

— წლევანდელი სეზონის მთავარი ამოცანაა წარმატებით მზადება ოლიმპიური თამაშებისთვის, რომლის ფინალში ჩვენი ქვეყნის გუნდი, როგორც თამაშების მასპინძელი, დაშვებულია წინასწარი თამაშების ჩაუტარებლად. შემუშავებულია მზადების საგანგებო პროგრამა, რომელიც უკვე ხორციელდება. იანვარში ფეხბურთელები შეიკრიბნენ მოსკოვში, მოსკოვის „სპარტაკის" აგრეთვე, სხვა კლუბების 22 მოთამაშის შემადგენლობით. წვრთნა მიმდინარეობს სამჯერად, ყოველ დღე.

ოლიმპიური ნაკრები 18 კანდიდატის შემადგენლობით 1 თებერვალს გაემგზავრება იტალიას, სადაც 18 დღის მანძილზე მზადებასთან ერთად ჩაატარებს საკონტროლო თამაშებს.

ამას გარდა, საკონტროლო შეხვედრებია დაგეგმილი ბულგარეთის (მარტი), შვეციის (აპრილი), საფრანგეთის (მაისი), ნორვეგიისა და დანიის (ივლისი) გუნდებთან. ოლიმპიური ნაკრების მოსამზადებლად შექმნილია ყველა საჭირო პირობა, გუნდის უფროსი მწვრთნელი კ. ბესკოვი ყველაფერს აკეთებს გეგმის შესასრულებლად.

მთელი ჩვენი საფეხბურთო მეურნეობის საქმეთა გაუმჯობესებას უნდა შეუწყოს ხელი ბოლო ხანებში გატარებულმა ღონისძიებებმა, კერძოდ, მოეწყო ოსტატთა გუნდებთან არსებული კომპლექსურ-სამეცნიერო ხელმძღვანელების თათბირი, დამთავრდა მწვრთნელთა სამკვირიანი მოსამზადებელი კურსები და ხელახალი ატესტაცია.

მოხდა მწვრთნელთა საკავშირო საბჭოს შემადგენლობის რეორგანიზაცია, სადაც შევიდნენ უმაღლესი ლიგის გუნდების ხელმძღვანელები, აგრეთვე, ვ. სოლოვიოვი (საბჭოს თავმჯდომარე), ლ. იაშინი, ვ. ნიკოლაევი, ს. კორშუნოვი.

## წილისყრის შედეგები

**ჩვენი** გაზეთის წინა ნომერში გამოქვეყნებული იყო ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის მეოთხედფინალის წილისყრა ფეხბურთში. ახლა გთავაზობთ სხვა ტურნირების განრიგს:

**ჩემპიონთა თასზე** ერთმანეთს შეხვდებიან: „ჰამბურგი" (გფრ) — „ჰაიდუკი" (სპლიტი, იუგოსლავია), „ნოტინგემ ფორესტი" (ინგლისი) — „დინამო" (ბერლინი, გდრ), „სტრასბურგი" (საფრანგეთი) — „აიაქსი" (ჰოლანდია), „სელტიკი" (შოტლანდია) — „რეალი" (მადრიდი, ესპანეთი).

**უეფა-ს თასზე** მეოთხედფინალში ასე დაწყვილდნენ: „სენტ-ეტიენი" (საფრანგეთი) — „ბორუსია" (მიონხენგლადბახი, გფრ), „კაიზერსლაუტერნი" (გფრ) — „ბაიერნი" (გფრ), „შტუტგარტი" (გფრ) — „ლოკომოტივი" (სოფია, ბულგარეთი), „აინტრახტი" (ფრანკფურტი, გფრ), — „ზბროიოვკა" (ბრნო, ჩეხოსლოვაკია).

ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის წყვილების შემადგენლობა (ფეხბურთელთა ასაკი 21 წლამდე) ასეთია: ჩეხოსლოვაკია — იუგოსლავია, ინგლისი — შოტლანდია, უნგრეთი — გდრ, სსრ კავშირი — იტალიასა და შვეიცარიას შორის გამარჯვებული.

# საბჭოთა სპორტსმენის ხასიათი

## ფენიქსი



ხტება ... მიხეილ გავა (საქართველო) — გამოაცხადა დიქტორმა. და ბაკურიანის 70-მეტრიანი ტრამპლინის ირგვლივ თავშეყრილ მაყურებელთა შორის ტაშმა იქუხა.

— ამიხსენით გეთაყვა, — მიმართა ერთ ახალგაზრდას რუსეთიდან ჩამოსულმა სტუმარმა, — ეს რომელი მიშა გავაა? მე კარგად მახსოვს ასეთი გვარისა და სახელის სპორტსმენი, რომელმაც 50-იან წლებში ქვეყნის ჩემპიონობა მოიპოვა, მაგრამ იგი სწრაფდაშვებაში მონაწილეობდა.

— არა, პატივცემულო, — განუმარტა ახალგაზრდამ, — ის მიშა ჩქარა სამოცს მიაღწევს და ამჟამად საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში მუშაობს პედაგოგად, ეს კი მისი ბიძაშვილია, ტრამპლინიდან მხტომელი, ჩვენი სახელოვანი კობა წაქაძის სპორტული მემკვიდრე!

...ტაში არ ცხრებოდა. სტუმარს აშკარად გადაჭარბებულად მოეჩვენა ეს აჟიოტაჟი. ჯერ გადახტეს, დაიმსახურონ ტაში და შემდეგ რამდენიც უნდათ, იმდენი ვაშა იძახონ, ფიქრობდა იგი. მაგრამ მან ის არ იცოდა, რომ ტაში ეკუთვნოდა... მკვდრეთით აღმდგარ სპორტსმენს.

თუმცა მოდით, ჯერ გავიხსენოთ 1968 წელს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ქალაქ კლინგენტალში მომხდარი ტრაგედია:

წინა დღეს ტრამპლინიდან მხტომელთა დიდი საერთაშორისო ტურნირი დამთავრდა. მიშამ III ადგილი დაიკავა. მეორე დღეს პროზიორთა საჩვენებელი გამოსვლები დაინიშნა. პირველი ნახტომი მიშას უნდა შეესრულებინა. კიბეზე მიმავალმა შენიშნა, რომ ტრამპლინი არ იყო სათანადოდ მომზადებული, დახტომისა და მომდევნო სრიალის ადგილზე ფოცხი არ გადაეტარებინათ. არა უშავს რა, შორს გადახტომას არ შევეცდები და ხიფათსაც ავიცილებო, თავი დაიმშვიდა მიშამ.

მისცეს ნიშანი. დინჯად დასრიალდა ტრამპლინზე, არეკნისას მაინცდამაინც დიდი ძალა არ მიუყენებია მუხლებისთვის, განახორციელა ფრენა და დაშვებისას მიხვდა, რომ სწორად არ შეაფასა ტრამპლინის მომვლელთა დაუდევრობით მოსალოდნელი შედეგი. დაშვებისთანავე დაუფოცხავმა ზედაპირმა პასუხი არ დააყოვნა: თხილამურები წამსვე ასოთხმოცი გრადუსით შეატრიალა, ერთხანს სპორტსმენი უკუსვლით გააქანა, შემდეგ მარცხენა თხილამურის უკანა ნაწილი თოვლში ჩაერჭო, დამუხრუჭდა და მიშა სწრაფი მატარებლიდან უეცრად გადავარდნილი მგზავრივით ჰაერში რამდენჯერმე ატრიალდა, ზედაპირს დაენარცხა და, უკვე გრძნობადაკარგული, თხილამურების ნამსხვრევებთან ერთად ბარიერს შეასკდა.

სასწრაფო დახმარების მანქანით მიიყვანეს საავადმყოფოში. მხოლოდ მეორე დილით მოვიდა გონს. ერთი თვის შემდეგ კი მოსკოვში გადმოაფრინეს და პროფესორ ბაშკიროვის კლინიკაში მოათავსეს. ბაშკიროვმა გადარჩენა მიულოცა მიშას, მარტო სპორტსმენი თუ „გამოძვრებოდა" ასეთი მდგომარეობიდანო. ნამდვილი სათქმელი კი დაუმალა — კონსილიუმმა მარცხენა ფეხის ამპუტაცია დაადგინა. მარცხენა მუხლის სახსარი ისე იყო დამსხვრეული, მისი შეკოწიწება ყველამ შეუძლებლად მიიჩნია.

ერთი კვირის თავზე ყველაფერი გაუმხილეს, ოპერაციის დაგვიანება აღარ შეიძლებოდა.

ნუთუ დამთავრდა ყველაფერი, ფიქრობდა ელდანაცემი მიშა და თავისდაუნებურად იხსენებდა იმ სპორტულ გზას, რომელსაც სამუდამოდ უნდა დამშვიდობებოდა: პირველად ტრამპლინიდან გადახტომა კუკური ფანჯიკიძემ გააბედინა 1959 წელს, ორი წლის შემდეგ რესპუბლიკის ჭაბუკთა ჩემპიონი გახდა 25-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში, მესამე წელს პოლონეთში სამი ტრამპლინის ტურნირში VII ადგილი დაიკავა, კიდევ ერთი წლის შემდეგ ოსტატის წოდება მიაკუთვნეს, 1967 წელს საკავშირო პირველობაზე ბრინჯაოს მედალს დაეუფლა, წინ მხოლოდ ცნობილი მხტომელები ვიქტორ კრიუკოვი და გარი ნაპალკოვი გაუშვა. დაიწყო დიდი სპორტის საინტერესო გზა. და აი, 1968 წელს ყველაფერს წერტილი დაესვა.

ფეხის ამპუტაციაზე სასტიკი უარი განაცხადა, სიკვდილი მიჯობსო. ბოლოს ისევ ბაშკიროვმა იკისრა ოპერაცია, თუმცა პაციენტი გააფრთხილა, მუხლი მაინც არ იმუშავებს, უკეთეს შემთხვევაში ფეხი ყავარჯნის მაგივრობას თუ გაგიწევსო.

ბაშკიროვმა ურთულესი ოპერაცია განახორციელა. როცა მიშა საავადმყოფოდან გამოწერეს, მან სიტყვა დაადევნა: გახსოვდეს, ჩემი მიზანი ფეხის გადარჩენა იყო, უფრო მეტის იმედი არ მქონდა და ნურც შენ გექნებაო. შეიძლება მუხლი ოდნავ მოხარო, მაგრამ ამისთვის არაადამიანური ტკივილების გამომწვევი მოძრაობების შესრულება დაგჭირდება. გააფრთხილა, მუხლი არ გადატვირთო, თორემ შეიძლება ფეხი მართლაც მოსაკვეთი გახდეს, მაშინ კი ვერაფერი გიშველისო.

დაიწყო ფიზიკური და სულიერი ტკივილების მძიმე პერიოდი. დღეში სამჯერ სიმწრის ოფლი სდიოდა, როცა გაქვავებულ მუხლის სახსარს ძალას ატანდა და მოხრას აიძულებდა. რამდენიმეჯერ ტკივილმა შოკამდე მიიყვანა. ასე გრძელდებოდა მთელი წელიწადი.

ერთი წლის შემდეგ ტკივილებმა იკლო, მაგრამ ახლა იმატა ახალმა სურვილმა: რა იქნება იქამდე მივიყვანო საქმე, რომ თხილამურებზე შევდგე, მხოლოდ შევდგე და ორიოდ მეტრზე გავსრიალდე, — ფიქრობდა. შემდეგ ჩანაფიქრის განხორციელებას შეუდგა ბიძაშვილების სერგო გავასა და გოგი მიქაბერიძის დახმარებით. შექმნა ტრენაჟორი, რომელზეც ყოველდღიურად ასრულებდა სპეციალურ ვარჯიშებს. სამი თვის შემდეგ დატვირთვა არასაკმარისად მიიჩნია და ერთი შეხედვით პრიმიტიულ, მაგრამ, როგორც შემდეგ გამოირკვა, სწორ ხერხს მიმართა: მარცხენა კოჭზე იკიდებდა სამკილოგრამიან საწონს და ასე ასრულებდა მუხლის სახსარში მოხრა-გაშლას (ეს არ იყო დილეტანტის გაუაზრებელი მოქმედება. მიშას ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი ჰქონდა დამთავრებული და კარგად ერკვეოდა ანატომიაში, ფიზიოლოგიაში, სამკურნალო ფიზკულტურაში, გარდა ამისა, როდესაც ბაშკიროვმა შეიტყო მიშას ჯიუტობის ამბავი, სისტემატურად უგზავნიდა წერილებს საჭირო კონსულტაციებით).

მაგრამ ეს ყველაფერი უდიდეს მოთმინებას, ამტანობასა და პუნქტუალობას მოითხოვდა, მოითხოვდა საყვარელი საქმისადმი ფანატიკურ სიყვარულსა და ერთგულებას.

და აი, 1970 წლის ზამთრის დამდეგს პირველად გაისეირნა თხილამურებით, სეზონის ბოლოს კი პირველად გადახტა მის მიერვე შეკოწიწებული ტრამპლინიდან. დღისით ხალხს ერიდებოდა და მხოლოდ ღამ-ღამობით ვარჯიშობდა.

პირველი ოფიციალური ნახტომი ერთ-ერთ მცირე შეჯიბრებაზე 1971 წელს განახორციელა და 40 მეტრი გადალახა.

ოცნებას საზღვარი არ აქვსო, ნათქვამია, და მიშას ფიქრიც უკვე დიდ სპორტს გადასწვდა. რესპუბლიკის ნაკრებში მოხვედრა და საკავშირო პირველობაში გამოსვლა იყო ამ დიდი მიზნის პირველი საფეხური. განახორციელა კიდეც: 1971 წელს ტალინის ხელოვნურსაფარიან ტრამპლინზე „დინამოს" ცენტრალური საბჭოს პირველობაზე VII ადგილი დაიკავა (მთლიანად კიდევ ვერ ატანდა ძალას მარცხენა ფეხს). იმავე წელს კიროვსკში „ჩრდილოეთის დღესასწაულის" ჩემპიონი გახდა. 1972 წელს ისევ იმ საბედისწერო ქალაქ კლინგენტალს ესტუმრა და საჩვენებელ გამოსვლებში იასპარეზა. ასე თანდათანობით უახლოვდებოდა მიშა სანუკვარ მიზანს.

და აი, 1974 წელიც, სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის III სპარტაკიადა ბაკურიანში...

— ნახტომს ასრულებს მიშა გავა (საქართველო)! — ხელახლა გამოაცხადა დიქტორმა, როდესაც ტაში მინელდა.

მიშა ტრამპლინზე დაეშვა, თან ელვის სისწრაფით ანგარიშობდა — ყველაზე კარგი შედეგი ნაპალკოვმა და სუსლიკოვმა უჩვენეს — 81 და 82 მეტრი, არ უნდა ჩამოვრჩე, არ უნდა ჩამოვრჩე... არეკნი, ფრენა საუკეთესო სტილში, დაშვება თანაბრად ორივე ფეხზე და შედეგი — 81 მეტრი. ურიგოდ არ მიდის საქმე, გაიფიქრა მიშამ მეორე ნახტომის წინ — ორივე მ... მეორე ცდაზე 78 მეტრი უჩვენა, ესე იგი 80 მეტრიც კმარა.

ჯერ ნახტომის წინ იქუხა ტაშმა, მეორედ კი მაშინ, როცა მსაჯებმა გამოაცხადეს მიშას შედეგი — 80 მეტრი! ეს უკვე სპარტაკიადის, ქვეყნის ჩემპიონობასა და 6-წლიანი ოცნების ასრულებას ნიშნავდა...

მე მქონდა ბედნიერება მიშასთან ერთად განმეცადა დიდი სიხარულის ეს წუთები. დაჯილდოების შემდეგ, როცა მეგობრები გარს შემოეხვივნენ, მეც მივულოცე მიშას. მან მადლობა გადამიხადა და გამაცნო ახალგაზრდა ექიმი, მეცნიერებათა კანდიდატი, ბაშკიროვის ასისტენტი.

— ეს განსაცვიფრებელი წუთები იყო, მითხრა ბაშკიროვის ასისტენტმა. 80 მეტრზე ვინ არ გადამხტარა და ვინ არ გამხდარა ჩემპიონი, მაგრამ საქმის კურსში ვარ და მხოლოდ სასწაული შემიძლია ვუწოდო ამ მკვდრეთით აღმდგარი სპორტსმენის გამოსვლას. მსგავსი ფაქტები სხვაგანაც მომხდარა, ხომ გახსოვთ ვალერი ბრუმელის გმირობა, მაგრამ მიშა გავას ტრაპლინთან ჰქონდა საქმე, მეგობრებო, ტრამ-პლინ-თან! — დამარცვლა მან.

მიშას გადავხედე. ექვსი წლის ძნელი დღეების შრომას, ტკივილსა თუ სიხარულს თავიანთი კვალი დაუჩნდია მის გარუჯულ სახეზე.

— ფენიქსი! — გავიფიქრე იმაში მტკიცედ დარწმუნებულმა, რომ ანტიკური ხანის მეზღაპრეებმა ალბათ ასეთი ადამიანების მაგალითებით შექმნეს თქმულება მკვდრეთით აღმდგარ, უკვდავ ფრინველზე!

ა. ციბაძე.

* * *

**სურათზე:** მ. გავა სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის III სპარტაკიადის გამარჯვებულის კვარცხლბეკზე.

● ფეხბურთი

## მსაჯთა ათეული

**საქართველოს** სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველომ და ფეხბურთის რესპუბლიკურმა ფედერაციამ განვლილი სეზონის შედეგებით დაამტკიცეს რესპუბლიკის საუკეთესო მსაჯთა ათეული. იგი ანბანის მიხედვით ასე გამოიყურება: ნ. ამირაჯიბი (თბილისი), გ. გვანცელაძე (თბილისი), ვ. ეჯიბია (თბილისი), ზ. ზუმბაძე (ახალციხე), ი. კანდელაკი (თბილისი), თ. ლაცაბიძე (თბილისი), გ. სეფიაშვილი (თბილისი), ნ. შავიშვილი (ბათუმი), ჯ. წერეთელი (რუსთავი), შ. ხანიაშვილი (თბილისი).

## გაიმარჯვა „ვოდნიკმა"

**მოსწავლეთა** არდადეგების დღეებში ბათუმში მოეწყო ნორჩ ფეხბურთელთა (1964–1965 წლებში დაბადებულნი) ასპარეზობა, რომელშიც მონაწილეობდნენ მოსკოველი, თბილისელი, ერევნელი, ჟდანოველი, ბათუმელი, ფოთელი, ქობულეთელი, ვლადიმირელი, ტაგანროგელი და ფრუნზელი ფეხბურთელები.

ქვეჯგუფებში დამთავრებულ შეჯიბრებათა შემდეგ გაიმართა ფინალური შეხვედრები. საუკეთესოდ ითამაშეს ფოთის „ვოდნიკის" წარმომადგენლებმა, რომლებმაც შეძლეს პირველობის მოპოვება. მომდევნო ადგილებზე არიან ბათუმის „დინამო" და თბილისის „შრომითი რეზერვები".

## „ოქროს ბურთი" — კამერუნის ფეხბურთელს

**იაუნდე.** შარშანდელი სეზონის შედეგებით აფრიკის საუკეთესო ფეხბურთელის პრიზი — „ოქროს ბურთი" გადაეცა კამერუნის „კანონის" (იაუნდე) მეკარეს ტომ ნკონოს.

24 წლის ტომ ნკონო საუკეთესო რეაქციით გამოირჩევა:

— 1971 წელს მიმიღეს საფეხბურთო „ეკლერში" (დუალა), — საკდესის კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა ნკონომ, — იქ 3 წლის განმავლობაში ვთამაშობდი თავდამსხმელად და არასოდეს მიფიქრია, რომ მომიწევდა ამპლუის შეცვლა. გოლკიპერი 6 წლის წინათ გავხდი, როცა „კანონში" გადავედი. აფრიკის საუკეთესო ფეხბურთელად ჩემი აღიარება მთელი გუნდის წარმატებაა. (საკდესი).

## ორი ფინალი

**არგენტინის** საფეხბურთო თასის ფინალში ერთმანეთს ხვდებიან „რივერ პლეიტი" და „უნიონი" (სანტა ფე). ნახევარფინალში „რივერ პლეიტმა" ანგარიშით 3:1 მოუგო „როსარიოს", ხოლო „უნიონმა" დაამარცხა „ატლეტიკო" (ტუკუმანი) — 2:0.

**ბრაზილიის** თასის ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს „ვასკო და გამამ" და „ინტერნასიონალმა". „ვასკო და გამამ" ნახევარფინალში მძაფრ ბრძოლაში სძლია „კორიტიბას" — 2:1, ხოლო „ინტერნასიონალმა" ასეთივე ანგარიშით გათამაშებიდან გამოთიშა „პალმეირასი".

ახლა ფინალისტები ორჯერ უნდა შეხვდნენ ერთმანეთს: რიო-დე-ჟანეიროში, შემდეგ — პორტუ-ალეგრეში.

# ლაურეატების აზრით

**კიგანი, რუმენიგე, კროლი — — რას ფიქრობს „ფრანს ფუტბოლის“ ეს პირველი სამი ლაურეატი თავის სპორტულ კარიერაზე, აწმყოზე და მომავალზე?**

**უპასუხებს კევინ კიგანი, „ოქროს ბურთის“ ლაურეატი:**

● **რა არის თქვენთვის ფეხბურთი?**

— ორშაბათიდან შაბათამდე ფეხბურთელი ვარ, შაბათიდან ორშაბათამდე კი გოლფს ვთამაშობ, ვცურავ, ველოსიპედი დამყავს. ნამდვილ სიამოვნებას მხოლოდ მაშინ განვიცდი, ფეხბურთს რომ ვთამაშობ. არც იმას ვაქცევ მაინცდამაინც დიდ ყურადღებას, როდესაც მარცხს განვიცდით. ფეხბურთელი მინდორზე პროფესიონალი უნდა იყოს.

● **როგორ რეაგირებთ, როდესაც პერსონალურად გდარაჯობენ?**

— ამას მაინცდამაინც დიდ ყურადღებას არ ვაქცევ. სხვა საკითხია, როდესაც ყოველნაირად არ გაძლევენ თამაშის საშუალებას.

● **ასეთი უხეში ფეხბურთელების წინააღმდეგ ზოგჯერ ხელს ხომ არ გამოიღებთ ხოლმე?**

— ძალიან ვცდილობ, არ ვუპასუხო, მაგრამ ყოველთვის არ გამომდის. ერთხელ „უემბლიზე“ გამაძევეს მინდვრიდან, ბილი ბრემნერთან შეჯახებისათვის და 11 კვირით ამიკრძალეს თამაში. მეორეჯერ ჰამბურგში ერთ ამხანაგურ მატჩში ვმონაწილეობდი. აქ უკვე 7 კვირით მომცეს დისკვალიფიკაცია. ორივე შემთხვევა რომ გამახსენდება, ძალიან ვნანობ.

● **თქვენ № 7 მაისურით გამოდიხართ მინდორზე. ეს თითქოს იმას ნიშნავს, რომ მარჯვენა ფრთაზე უნდა ითამაშოთ.**

— ნომრებს ყურადღებას ნუ აქცევთ. ძალიან მსიამოვნებს, როდესაც მთელ მინდორზე ვმოძრაობ, ერთი კუთხიდან მეორეში. ვფიქრობ, რომ შემიძლია გუნდს სარგებლობა მოვუტანო ყველგან, სადაც საჭირო იქნება: დაცვაში, მინდვრის შუაგულში, მეტოქის კართან...

● **უკვე ცნობილია, რომ 1979-80 წლების სეზონის დასასრულს „ჰამბურგს“ სტოვებთ და, ასე ვთქვათ, „მაისურის ფერს“ იცვლით, როგორი იქნება ეს ახალი ფერი?**

— შემიძლია გადავიდე იტალი- [illegible] ძალიან აში, სადაც დღეისათვის [illegible] ცოტა ბურთები გააქვთ. უფრო კონკრეტულად — ტურინის „იუვენტუსი“ მიწვევს. შესაძლოა ეს იყოს ესპანეთი, სადაც მიხმობენ „ბარსელონა“ და „ვალენსია“. შეიძლება ინგლისშიც დავბრუნდე, სადაც „ჩელსი“ მიწვევს. არ იფიქროთ, რომ იმას ვუყურებ, ვინ რამდენს მიხდის. ასე რომ ყოფილიყო, მე ხომ საუდის არაბეთიდანაც მივიღე მიწვევა და ერთი ვაშინგტონელი მილიარდერისაგანაც. არა, ჩემს სპორტულ კარიერაში ფული არასოდეს ყოფილა მთავარი...

**უპასუხებს კარლ-ჰაინც რუმენიგე, „ვერცხლის ბურთის“ ლაურეატი:**

● **მიეკუთვნებით თქვენ „წმინდა თავდამსხმელების“ კატეგორიას თუ არა?**

— სხვადასხვანაირად ვთამაშობ. ვამჯობინებ მარჯვენა ან მარცხენა გარემარბის პოზიციიდან დავიწყო თამაში, სადაც მეტი თავისუფლება მაქვს, შემიძლია ერთი-ერთზე თავი დავაღწიო პერსონალურ დარაჯებს. ხან ჩემს კერპ გ. მიულერს ვბაძავ, რომელსაც შეუდარებლად შეუძლია იმ ბურთების დადარაჯება, კარის სიახლოვეს რომ გამოგზავნიან ხოლმე.

● **როგორ ფიქრობთ, რა განსაზღვრავს ფეხბურთში მაღალ კლასს?**

— იმისათვის, რომ ფეხბურთში მაღალ კლასს მიაღწიო, საჭიროა 10 პროცენტი ტალანტი და 90 პროცენტი მუშაობა. მაგრამ საამისოდ სათანადო დახმარება უნდა გაგიწიოს კარგმა კლუბმა, შესაფერისმა პარტნიორებმა და, რაც მთავარია, კარგმა მწვრთნელმა. შეიძლება ძალიან დიდი ნიჭიც გქონდეს, უამრავი შრომაც გასწიო, მაგრამ მაინც ვერაფერს მიაღწიო, თუ გვერდში არ გყავს დამრიგებელი, რომელიც სწორედ მატჩის წინ სათანადო განწყობილებას შეგიქმნის. აი, სწორედ ასეთი დამრიგებელი იყო ჩემთვის დეტმარ კრამერი.

● **რაშია, ბოლოსდაბოლოს, გოლის გატანის საიდუმლოება?**

— ეს 90 წუთის მანძილზე დიდ სიფხიზლესთან არის დაკავშირებული.

**უპასუხებს რუუდ კროლი, „ბრინჯაოს ბურთის“ ლაურეატი:**

● **რომელი მწვრთნელი იწვევს თქვენში დიდი პატივისცემის გრძნობას?**

— „აიაქსი“ საუკეთესო ფეხბურთს თამაშობდა რინუს მიხელსის ხელმძღვანელობით, რომელმაც მკაცრი დისციპლინა და საქმისადმი პროფესიული დამოკიდებულება დანერგა. სტეფან კოვაჩმა ფანტაზია გამიღვივა, შემოქმედებითი დონე ამიმაღლა, თამაშის დროს ფიქრი მასწავლა.

● **როგორ მიხვედით იმ აზრამდე, რომ ამპლუა შეგეცვალათ: ადრე მარცხენა მცველი იყავით, შემდეგ ცენტრში გადაინაცვლეთ?..**

— აქ რაიმე დიდი აღმოჩენა არ ყოფილა. მიხელსმა იცოდა, რომ ბავშვობაში ცენტრალურ მცველად ვთამაშობდი და გუნდისათვის ამ პოსტზე თამაში უფრო სასარგებლოდ ჩათვალა. კონკრეტულად [illegible] ლად ეს მაშინ მოხდა, როდესაც წავაგეთ „ეინდჰოვენთან“ — 2:3.

● **რას ფიქრობთ ახალგაზრდა ფეხბურთელებზე?**

— თვითკრიტიკის სახით უნდა მოგახსენოთ, რომ ერთ რამეს ვნანობ — თავის დროზე არ ვუსმინე კეიზერსა და კრუიფს, რომლებიც ძალზე სასარგებლო რჩევებს მაძლევდნენ. ახალგაზრდებს უნდა ვურჩიოთ მთავარი — მინდორზე აზროვნება. მხოლოდ ამ გზით შეიძლება ჩაწვდე ფეხბურთის საიდუმლოებას.

● **როდესმე გაუძევებიხართ მინდვრიდან?**

— არასოდეს... მხოლოდ ერთხელ გამაფრთხილეს.

## ევროპის ფეხბურთის ამბები

### უეფა-ს გადაწყვეტილება

**იმის გამო,** რომ ევროპულ ტურნირებზე გახშირდა წესრიგის დარღვევა, უეფა-მ მკაცრი გადაწყვეტილება მიიღო — ამიერიდან იგი ხშირად გადაიტანს მატჩებს სხვა ქალაქებში და ნეიტრალურ სტადიონებზე. პირველად ეს შეეხო „ფკ დანდოლკს“ (ირლანდია) და ჩრ. ირლანდიის „ფკ ლინფილდს“.

### ნორვეგიელი — „ბაიერნში“

**მიუნხენის** „ბაიერნის“ შემადგენლობაში თამაში დაიწყო ნორვეგიის ნაკრების მცველმა, 25 წლის რონალდ აასმა. ეს პირველი ნორვეგიელია, რომელიც ამ ცნობილი კლუბის ღირსებას დაიცავს.

### სიხარულით გამოწვეული ტრაგედია

**61 წლის** შესვენების შემდეგ კოლუმბიის ჩემპიონობა მოიპოვა კალის „ამერიკამ“. უკანასკნელ მატჩში, როდესაც კლუბი ჩემპიონის რანგში გამოდიოდა, ორ გულშემატკივარს სიხარულისაგან სტადიონზე გაუსკდა გული.

# მეგობრის ხსოვნას

...ჩვეულებრივ, 11 საათზე გამოჩნდებოდა ხოლმე „ლელოს“ რედაქციაში — ტრადიციული გაბერილი ჩანთითა და ყავისფერი კოსტუმით, ზედ ჟურნალისტთა კავშირის ვერცხლისფერი ნიშანი რომ ეკეთა. ცხელ-ცხელ ამბებს მოგვაწვდიდა როგორც წესი და მერე ჭადრაკის განყოფილებაში შევიდოდა კოლეგებთან.

უკვე მოვლილი ჰქონდა რამდენიმე რედაქცია — საქინფორმი, „ზარია ვოსტოკა“, „ვეჩერნი ტბილისი“, „ლენინსკოე ზნამია“ და, რა თქმა უნდა, „მოლოდიოჟ გრუზიი“. მან ხომ სწორედ აქ აიდგა ფეხი როგორც ჟურნალისტმა. იშვიათი ენერგიის კაცმა დილით უკვე „სოვეტსკი სპორტშიც“ მოასწრო უკანასკნელი ტურის პარტიების გადაცემა...

...იმ დღესაც ველოდით რედაქციაში ალექსანდრე ბუსლაევის გამოჩენას, მაგრამ...

საზარელი ამბავი მოიტანეს — ბუსლაევი გარდაიცვალაო. დავმწუხრდით მისი მეგობრები — ძველები და ახლები, ყველა, ვისაც საქმიანი კონტაქტი ჰქონდა მასთან თუ უბრალოდ იცნობდა ამ მხიარული, კეთილი ბუნების ადამიანს. მერე გავიხსენეთ... ყველამ ცალ-ცალკე, ალბად ყველამ თავისებურად, ყველამ ერთი კაცი, კაცური კაცი...

...1952 წელი იქნებოდა, ზამთარი. „ზარია ვოსტოკას“ ფასადის ერთ-ერთ ვიტრინაში გაზეთ „მოლოდოი სტალინეცის“ სტენდზე გაკრულ ახალ ნომერში ა. ბუსლაევის ფოტოსურათი მოეთავსებინათ: „ოსტატობის კანდიდატი ბუსლაევი — სპორტსაზოგადოება „ნაუკა“. ახალგაზრდა მოჭადრაკე, რომელიც თეთრ ფიგურებს მისჯდომოდა, მორიგ სვლაზე ჩაფიქრებულიყო. ეს ალექსანდრე ბუსლაევის პირველი ფოტოსურათი იყო გაზეთში, რომელიც მის მიერ თბილისის ჩემპიონის წოდების მოპოვების გამო დაიბეჭდა. საჭადრაკო მიმოხილვაში ალექსანდრე ფალავანდიშვილი ქებით მოიხსენიებდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტ-დიპლომანტს ა. ბუსლაევს — „კარგი პოზიციური სტილის მოჭადრაკეს“, რომელმაც ტურნირში უკან მოიტოვა საკმაოდ ძლიერი მონაწილენი ჰ. არნშტეინი, ო. ელიოზიშვილი, ო. წოწოლაშვილი და თვით არჩილ ებრალიძე.



...რედაქციის თავგამოდებულმა „ფეხბურთელებმა“ გაიხსენეს ბუსლაევის ერთ-ერთი საუკეთესო და მეტად გაბედული გამოსვლა „მოლოდოი სტალინეცის“ ფურცლებზე თბილისის „დინამოსა“ და ცდსა-ს ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო თასის მეოთხედფინალური მატჩის შემდეგ (შეხვედრა გაპროტესტებულ იქნა მასპინძელთა მიერ). მასალას ასეთი სათაური ჰქონდა: „ექსპრესს... გაჰქვს ცული“ — ტალინელი არბიტრის მეტად უპასუხისმგებლო, მიკერძოებული მსაჯობის გამო. გვახსოვს, რაოდენ დიდი რეზონანსი გამოიწვია მაშინ ა. ბუსლაევის უაღრესად კრიტიკულმა გამოსვლამ!

...ჩოგბურთის მოყვარულებმა გაიხსენეს ბუსლაევის გაუთავებელი საჩოგბურთო გეიმები „დინამოს“ კორტზე ძმებ მძინარაშვილებთან და სხვებთან ერთად.

...ცხენოსნობის თაყვანისმცემლებმა რამდენიმე საგულისხმო ეპიზოდი მოიგონეს ამ „მოჭადრაკე ცხენოსნის“ შესახებ — ბუსლაევი ხომ თბილისის იპოდრომის ხშირი სტუმარიც იყო.

...ვილაცამ ისიც გაიხსენა, რა გულის ქოშინით აუყვებოდა იგი ჭავჭავაძის ალმართს აბაკელიას ქუჩაზე შინ მიმავალი.

...ერთ-ერთმა უცნობმა ორიოდე დღის წინათ ტელეფონით დაგვირეკა რედაქციაში და ძლივს გასაგონი ხმით იკითხა „სალამოს გაზეთში წავიკითხე ბუსლაევის გარდაცვალებაზე... ის „ბუსლაევი“ ხომ არაა, მოჭადრაკე, მასთან ერთი-ორჯერ მეც ვიყავი სალაშქროდ ბეთანიასა და ზედაზენში!“ დიახ, ეს ის — სპორტის ოსტატი და საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი ალექსანდრე ბუსლაევია — 50 წლის შესანიშნავი მოჭადრაკე და ჟურნალისტი, ჩოგბურთის, ფეხბურთის, ცხენოსნობის, ლაშქრობების დიდი მოყვარული, კეთილი, პირუთვნელი ადამიანი, რომელსაც თავისი გაბერილი ჩანთით ყოველ დილას ღიმილი და სიხარული მოჰქონდა ჩვენს რედაქციაში, სხვა რედაქციებში, ყველგან, სადაც კი გამოჩნდებოდა.

ლელოელები.

# ქრონიკა

● **კრივი**

### მოკრივეთა ტრადიციული

**26, 30 იანვარს** და 2 თებერვალს შესაბამისად მოსკოვში, თბილისსა და ტალინში გაიმართება სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მოკრივეთა ნაკრები გუნდების ტრადიციული შეხვედრა. საქართველოს [illegible] მოკრივეთაგან თბილისის მატჩი საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში მოსალოდნელია თბილისელების გ. ასლანოვის ან ი. გაიბოლიევის (48 კგ-მდე წონა), ა. ხიზანიშვილის (54 კგ), სოხუმელი რ. ჩირიკბაიას (63 კგ), თბილისელების მ. თაქთაქიშვილის (71 კგ) და დ. კვაჭაძის (81 კგ) გამოსვლა. კვაჭაძისათვის ეს ბოლო ბრძოლა იქნება. იგი ახლახან სათავეში ჩაუდგა თბილისის კრივის სპეციალიზებულ სკოლას.

● **ჩოგბურთი**

### კორტის მასპინძლების გამარჯვება

**საბჭოთა ჩოგბურთელებმა** ჩაატარეს „კინგზ კაპის“ (სამეფო თასის) პრიზის გათამაშების მორიგი მატჩი. ამჯერად მათი მეტოქე იყო საფრანგეთის ნაკრები. შეხვედრა ჩვენი სპორტსმენების უპირატესობით წარიმართა და მათივე გამარჯვებით დამთავრდა — 3:0. ყველაზე დაძაბული გამოდგა ა. ზვერევისა და ა. ლეკონტის ორთაბრძოლა. წააგო რა პირველი პარტია, ჩვენმა ჩოგბურთელმა შეძლო ძალების მობილიზება და საბოლოო გამარჯვება —5:7, 6:2, 6:4.

ჩვენს ნაკრებს მეორე ქულა შესძინა ვ. ბორისოვმა, რომელმაც სძლია ჟ. პოტიეს — 6:3, 7:6. ბორისოვმა და თ. კაკულიამ მოუგეს ლეკონტ-პოტიეს წყვილს — 6:2, 6:4.

ამჟამად საბჭოთა ნაკრებს 4 შეხვედრიდან 3 გამარჯვება აქვს. მისი მორიგი მეტოქე იქნება უნგრეთის გუნდი, რომელსაც ჩვენები 20 იანვარს შინ ხვდებიან.

● **ბალახის ჰოკეი**

### მატჩი მსოფლიო ჩემპიონთან

**სსრ** კავშირის ბალახის ჰოკეის [illegible] ნაკრები გუნდი გა- [illegible] სულ ხუთშაბათს მოსკოვში, „სპარტაკის“ სპორტთამაშობათა სასახლეში ამხანაგურ საერთაშორისო მატჩში შეხვდა ჰოლანდიის ეროვნულ გუნდს და დამარცხდა — 1:2. ამაში არაფერია გასაკვირი, ჰოლანდიელები ხომ მსოფლიო ჩემპიონები არიან და ეს ტიტული მათ შარშან მეორედ მოიხვეჭეს. ჩვენი გუნდიდან ერთადერთი ბურთის ავტორია ნატალია ბუზუნოვა — წინათ ცნობილი ფეხბურთელის ქალიშვილი.

სსრ კავშირისა და ჰოლანდიის ჰოკეისტები კიდევ ორჯერ შეხვდებიან ერთმანეთს.

● **ფრენბურთი**

### ლიდერობს „ურალოჩკა“

დამთავრდა ფრენბურთელ ქალთა საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრის პირველი ტურის შეხვედრები.

გათამაშების ცხრილს სათავეში უდგას სვერდლოვსკის „ურალოჩკა“, რომელმაც 9 შეხვედრა ჩაატარა და ყველა მოიგო. აღსანიშნავია, რომ „ურალოჩკას“ 10 ფრენბურთელი ქვეყნის ოლიმპიური ნაკრების კანდიდატია. ლიდერს ერთი ქულით ჩამორჩება ლენინგრადის ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოს გუნდი. შემდეგ ადგილებზე არიან ტაშკენტის „ავტომობილისტი“ და ცსკა, რომლებსაც 5-5 ქულა აქვთ.

● **სამთო-სათხილამურო სპორტი**

### დაწინაურდა ვენცელი

**მსოფლიო** თასის გათამაშების მორიგი ეტაპის შეჯიბრება სწრაფდაშვებაში მოიგო მ.-ტ. ნადიგმა (შვეიცარია). მან შინ აზორას ტრასაზე 1.39,79 აჩვენა და 0,11 წამით აჯობა ა. მოზერ-პრიოლს (ავსტრია). მესამე იყო ჰ. ვენცელი (ლიხტენშტეინი) — 1.41,21, რომელიც ლიდერობს თასის გათამაშებას.

## «სპორტლოტო»

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა [illegible] „სპორტლოტოს“ მე-2 ტირაჟების [illegible] შედეგები.

**„სპორტლოტო 6-49“-დან:**

**პირველი:** ექვსი და ექვსი (შელავათიანი ბურთულით) ციფრები ვერავინ გამოიცნო. ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (31 ბარათი) მოგება 1648 მანეთია, ხუთისთვის (შელავათიანი ბურთულით, 31 ბარათი) — 80, ოთხისთვის (1067 ბარათი) — 55, სამისთვის (19610 ბარათი) — 3.

**მეორე:** ექვსი და ექვსი (შელავათიანი ბურთულით) ციფრები აქაც ვერავინ გამოიცნო. ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (19 ბარათი) მოგება 1296 მანეთია, ხუთისთვის (შელავათიანი ბურთულით, 26 ბარათი) — 74, ოთხისთვის (547 ბარათი) — 49, სამისთვის (9788 ბარათი) — 3.

**„სპორტლოტო 5-36“-დან:**

**პირველი:** ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (5 ბარათი) მოგება 10000 მანეთია, ოთხისთვის (1173 ბარათი) — 94, სამისთვის (29615 ბარათი) — 5.

**მეორე:** ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (2 ბარათი) მოგება აქაც 10000 მანეთია, ოთხისთვის (936 ბარათი) — 157, სამისთვის (23698 ბარათი)— 6.

მოგებული თანხის განაღდება იწარმოებს 23 იანვრიდან 23 თებერვლის ჩათვლით.

რედაქტორი ა. ბასილაია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14 დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29.
ИНДЕКС 66435
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17
უე 02033